პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი

გადაწყვეტილება Nგ-1/180/2016

გ.მ-ს განცხადებასთან დაკავშირებული განხილვის დასრულების შესახებ

ქ. თბილისი **27/06/2016**

განმცხადებელი - გ.მ. (პ/ნ **********)

მოთხოვნა - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განმცხადებლის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის მასალების სს „ა“-სთვის (ს/კ *********) გადაცემის კანონიერების შესწავლა.

აღწერილობითი ნაწილი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს მიმდინარე წლის 03 მაისს №01/388 განცხადებით მომართა მოქალაქე გ.მ.-მ და მოითხოვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განმცხადებლის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის მასალების სს „ა“-სთვის (შემდგომში: „კომპანია“) გადაცემის კანონიერების შესწავლა. განმცხადებელმა მიუთითა, რომ ქ. თბილისში მომხდარი ავტო-საგზაო შემთხვევის შედეგად დაზიანდა მისი და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს კუთვნილი ავტომანქანები. მისივე განმარტებით, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ავტომანქანა დაზღვეული იყო სს „ა“-ს მიერ. ავტოსაგზაო შემთხვევის შემდგომ კი კომპანიამ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის მასალები მიიღო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომელთა საფუძველზეც სარჩელი აღძრა სასამართლოში და მოითხოვა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს კუთვნილი ავტომანქანის დაზიანების ხარჯების განმცხადებლისთვის დაკისრება.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2016 წლის 05 მაისის №გ-1/117/2016 გადაწყვეტილებით, გ.მ.-ს 2016 წლის 03 მაისის №01/388 განცხადება მიღებულ იქნა განსახილველად. განცხადებაში მითითებული გარემოებებისა და მონაცემთა დამუშავების

კანონიერების შესწავლის მიზნით, გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან და სს „ა“-სგან. კერძოდ, ინსპექტორის აპარატის 2016 წლის 13 მაისის №773/01 წერილით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსგან მოთხოვნილ იქნა ინფორმაცია - მიმართა თუ არა სს „ა“-მ გ.მ.-ს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის მასალების მოთხოვნით. დადებითი პასუხის შემთხვევაში, რა დოკუმენტები/ინფორმაცია გადაეცა კომპანიას განმცხადებლის შესახებ და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული რომელი სამართლებრივი საფუძვლით. ასევე, მოთხოვნილ იქნა სს „ა“-ს მიმართვის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლის წარმოდგენა.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის 2016 წლის 13 მაისის №769/01 წერილით კი სს „ა“-სგან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია - მიმართა თუ არა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გ.მ.-ს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის მასალების ან/და მის შესახებ სხვა ინფორმაციის მოთხოვნით. დადებითი პასუხის შემთხვევაში, როდის მიმართა, მიაწოდა თუ არა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოთხოვნილი დოკუმენტები/ინფორმაცია და შემდგომში რა მიზნით და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული რომელი სამართლებრივი საფუძვლით დაამუშავა მიღებული დოკუმენტები/ინფორმაცია. ამასთან, მოთხოვნილ იქნა სს „ა“-სა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს შორის დადებული დაზღვევის ხელშეკრულების ასლის წარმოდგენა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ინსპექტორის აპარატში 2016 წლის 27 მაისს წარმოდგენილი №01/461 საპასუხო წერილით დაადასტურა, რომ სს „ა“-ს გადასცა გ.მ.-ს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და სხვა მასალები. სამინისტროს განმარტებით, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ავტომანქანა (დაზიანებული ობიექტი) იყო სს „ა“-ს მიერ დაზღვეული ობიექტი, რაც დასტურდებოდა სადაზღვევო პოლისით. შესაბამისად, იმისთვის, რომ კომპანიას რეგრესის წესით მოეხდინა ფინანსური დანაკლისის ამოღება, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე აუცილებელი იყო განმცხადებლის სამართალდარღვევის ოქმისა და სხვა დოკუმენტების კომპანიისთვის გადაცემა. სამინისტროს მიერ წარმოდგენილ წერილზე დართული მტკიცებულებებით დასტურდება, რომ კომპანიამ 2016 წლის ** იანვარს მიმართა შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს, ასევე ქ. თბილისის მთავარ სამმართველოს და განუმარტა, რომ 2016 წლის ** იანვარს ქ. თბილისში, *****-ის გამზირზე, ავტომანქანა - „******“, სახ. ნომრით „**001**“ შეეჯახა სს „ა“-ში დაზღვეულ ავტომანქანას - „**** *****“, სახ. ნომრით „**002**“. შესაბამისად, მოითხოვა აღნიშნულ ავტოსაგზაო შემთხვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. ამავე წერილზე დართული ავტოტრანსპორტის დაზღვევის №******** პოლისით დასტურდება, რომ სს „ა“-სა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს შორის დადებული დაზღვევის

ხელშეკრულებასთან დაკავშირებით 2015 წლის ** დეკემბერს გაცემულია სადაზღვევო მოწმობა - პოლისი.

სს „ა“-მ კი ინსპექტორის აპარატში 2016 წლის 17 მაისს წარმოდგენილი №01/427 წერილით განმარტა, რომ მასსა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს შორის 2015 წლის ** *******-ს გაფორმებული №*** სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე, 999-ე მუხლების საფუძველზე, 2016 წლის ** იანვარს მიმართა საქართველოს შინაგან სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს არა გ.მ-ს მასალების, არამედ დამდგარ შემთხვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გადაცემის მოთხოვნით. მისივე განმარტებით, ზემოაღნიშნულ მოთხოვნაზე მტკიცებულების სახით წარადგინა სადაზღვევო პოლისი, რომლითაც დასტურდებოდა, რომ 2016 წლის ** იანვარს ქ. თბილისში მომხდარი სატრანსპორტო შემთხვევის დროს დაზიანებული სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს კუთვნილი ავტომანქანა („***** *****“, სახ. ნომრით **002**) დაზღვეული იყო სს „ა“-ში. კომპანიამ ამავე წერილში მიუთითა, რომ მოთხოვნილი სადაზღვევო შემთხვევის მასალები საპატრულო პოლიციის დეპარტამენტიდან მიიღო 2016 წლის ** იანვარს. მათივე განმარტებით, სადაზღვევო კომპანიები ზარალის განხილვისა და ანაზღაურების დროს ხელმძღვანელობენ მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებისა და დადგენილი პირობების, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-20 თავის, „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად. კომპანიის მითითებით, სამინისტროსგან მიღებული დოკუმენტაციის დამუშავება განხორციელდა ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმების საფუძველზე.

სს „ა“-ს განმარტებით, სადაზღვევო შემთხვევის დადგენა ხდება შემდეგნაირად - საპატრულო პოლიციიდან მასალების მიღების შემდგომ დგინდება ფაქტი, ადგილი ჰქონდა თუ არა დაზღვეული სატრანსპორტო საშუალების მონაწილეობას ავტოსაგზაო შემთხვევაში, როდის და რა ვითარებაში მოხდა შემთხვევა, ვინ იყო მძღოლი და ვისი ბრალეულობით დადგა შემთხვევა, ხოლო თუ დადგინდა, რომ სადაზღვევო შემთხვევა დადგა სხვა მძღოლის ბრალეულობით, მაშინ მზღვეველს (კომპანიას), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე და 999-ე მუხლების თანახმად, გააჩნია უფლება მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება. კომპანიის მითითებით, რადგან მან 2016 წლის ** თებერვლის №****** სადაზღვევო შემთხვევის აქტის საფუძველზე 2016 წლის ** მარტს აუნაზღაურა დამზღვევს გ.მ.-ს მიერ მიყენებული ზიანი, მას უფლება ჰქონდა მოეთხოვა ზიანის ანაზღაურება გადახდილი სადაზღვევო ანაზღაურების თანხის ფარგლებში. მისივე განმარტებით, სასამართლოში სარჩელის დაკმაყოფილების ძირითად მტკიცებულებას წარმოადგენს საჯარიმო ქვითარი, სქემა და მხარეთა ახსნა-განმარტება, რომლითაც დასტურდება, რომ ნამდვილად დაზიანდა დაზღვეული სატრანსპორტო საშუალება და ბრალეულ პირს წარმოადგენს არა დამზღვევის უფლებამოსილი მძღოლი, არამედ მესამე პირი.

სს „ა“-ს მიერ ინსპექტორის აპარატში 2016 წლის 17 მაისს წარმოდგენილ №01/427 წერილზე დართული 2015 წლის ** *******-ის №*** სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების 4.1 მუხლის თანახმად დასტურდება, რომ მიმწოდებელი - სს „ა“ ვალდებულია უზრუნველყოს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ბალანსზე არსებული ავტომანქანების დაზღვევის მომსახურება დანართის პირობების შესაბამისად. ხელშეკრულების დანართით კი განსაზღვრულია ავტომანქანის სავალდებულო სადაზღვევო რისკები, რომელთაგან ერთ-ერთს წარმოადგენს - ავტოსაგზაო შემთხვევა. ამავე დანართით დასტურდება, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს კუთვნილი ავტომანქანა - „***** ****“, სახ. ნომრით **002** დაზღვეულია სს „ა“-ში.

კომპანიის მიერ წარმოდგენილ წერილს ასევე ერთვოდა №******* სადაზღვევო პოლისი, საპატრულო პოლიციისთვის მიმართვის დამადასტურებელი დოკუმენტი და ზარალის ანაზღაურების ქვითარი.

სამოტივაციო ნაწილი

1. *პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა იმსჯელა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გ.მ.-ს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის მასალების სს „ა“-სთვის გადაცემის კანონიერების შესახებ.*

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის მიხედვით, პერსონალური მონაცემი არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით. ამავე მუხლის „დ“ პუნქტის თანახმად, მონაცემთა დამუშავება განმარტებულია როგორც ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, კერძოდ, შეგროვება, ჩაწერა, ფოტოზე აღბეჭდვა, აუდიოჩაწერა, ვიდეოჩაწერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება ან გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფება ან კომბინაცია, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება.

გ.ნ.-ს მიერ 2016 წლის 03 მაისს წარმოდგენილი №01/388 განცხადებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 2016 წლის 27 მაისს წარმოდგენილი №01/461 წერილითა და სს „ა“-ს მიერ 2016 წლის 17 მაისს წარმოდგენილი №01/427 წერილით დასტურდება, რომ განმცხადებლის პერსონალური მონაცემები, კერძოდ ავტოსაგზაო შემთხვევასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მასალები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გადასცა სს „ა“-ს 2016 წლის ** იანვარს, ამ უკანასკნელის მიერ 2016

წლის ** იანვრის მიმართვის საფუძველზე. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გ.მ.-ს პერსონალური მონაცემები დაამუშავა მათი გადაცემის გზით.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, პერსონალურ მონაცემთა დამუშავება დასაშვებია თუ სახეზეა ამავე მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი სამართლებრივი საფუძველი მაინც. აღნიშნული მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად კი, მონაცემთა დამუშავება დასაშვებია თუ ეს აუცილებელია მონაცემთა დამმუშავებლის ან მესამე პირის კანონიერი ინტერესების დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი.

განცხადების განხილვის ფარგლებში დადგინდა, რომ სს „ა“-მ 2016 წლის ** იანვარს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარუდგინა წერილობითი მიმართვა, რომელზეც დართული იყო ავტოტრანსპორტის დაზღვევის №******** პოლისი. კომპანიამ სამინისტროს განუმარტა, რომ 2016 წლის ** იანვარს ქ. თბილისში, *****-ის გამზირზე, ავტომანქანა - „******“, სახ. ნომრით „**001**“ შეეჯახა სს „ა“-ში დაზღვეულ ავტომანქანას - „**** *****“, სახ. ნომრით „**002**“. შესაბამისად, მოსთხოვა აღნიშნულ შემთხვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. კომპანიის განმარტებით, მოთხოვნილი დოკუმენტაცია ესაჭიროებოდა სასამართლოსთვის მტკიცებულების სახით წარსადგენად, რათა ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მოეთხოვა ზიანის ანაზღაურება განმცხადებლისგან.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. ამავე კოდექსის 832-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ დამზღვევს შეუძლია ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა წაუყენოს მესამე პირს, მაშინ ეს მოთხოვნა გადადის მზღვეველზე, თუკი ის უნაზღაურებს დამზღვევს ზიანს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, სს „ა“-მ 2016 წლის ** მარტს დამზღვევს (სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს) აუნაზღაურა გ.მ.-ს მიერ მიყენებული ზიანი, წარმოიშვა მისი ფინანსური ინტერესი და უფლება - რეგრესის წესით მოეთხოვა ზიანის ანაზღაურება განმცხადებლისგან. ამასთან, კომპანიამ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარუდგინა საკმარისი დასაბუთება და მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ განმცხადებლის შესახებ მოთხოვნილი დოკუმენტები ესაჭიროებოდა საკუთარი კანონიერი ინტერესების დასაცავად. მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნული დოკუმენტაციის გადაცემით მონაცემთა სუბიექტის - გ.მ.-ს პერსონალური მონაცემების დაცვის ინტერესი ვერ იქნებოდა უპირატესი იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სს „ა“-ს ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გააჩნია საქართველოს სამოქალაქო კოდექსითა და 2015 წლის ** *******-ს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №*** ხელშეკრულებით.

ამდენად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განმცხადებლის შესახებ პერსონალურ მონაცემთა დამუშავება განხორციელდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ე“ პუნქტით განსაზღვრული სამართლებრივი საფუძვლით და სამინისტროს მხრიდან „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევა არ იკვეთება.

2. *პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა იმსჯელა სს „ა“-ს მიერ გ.მ.-ს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის მასალების გამოყენების კანონიერების შესახებ.*

განცხადების განხილვის ფარგლებში დადგინდა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული გ.მ.-ს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის მასალები სს „ა“-ს ესაჭიროებოდა სასამართლოში მტკიცებულების სახით წარსადგენად, რათა გაემყარებინა მის მიერ სასამართლოსთვის წარდგენილი სარჩელი. კომპანიის განმარტებით, სასამართლოში სარჩელის დაკმაყოფილების ძირითად მტკიცებულებას წარმოადგენს საჯარიმო ქვითარი, სქემა და მხარეთა ახსნა-განმარტება, რომლითაც დასტურდება, რომ ნამდვილად დაზიანდა დაზღვეული სატრანსპორტო საშუალება და ბრალეულ პირს წარმოადგენს არა დამზღვევის უფლებამოსილი მძღოლი, არამედ მესამე პირი. ის გარემოება, რომ სს „ა“-ს სარჩელის საფუძველზე სასამართლოს წარმოებაში არსებული დავის ფარგლებში მოპასუხე მხარეს წარმოადგენს გ.მ., დაადასტურა თავად განმცხადებელმაც. მოცემულ შემთხვევაში, სს „ა“-მ გ.მ.-ს პერსონალური მონაცემები დაამუშავა მათი გამოყენების გზით.

საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეთა შეჯიბრებითობა სასამართლოში სამართალწარმოების მთავარი პრინციპია და ასევე მოიცავს მხარეთა თანაბარ უფლებას, მოიპოვონ მტკიცებულებები და მათ პოზიციებთან ერთად წარუდგინონ სასამართლოს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამოქალაქო სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, ამ კანონის მოქმედება სასამართლოში სამართალწარმოების მიზნებისათვის მონაცემთა დამუშავებაზე არ ვრცელდება. ამდენად, სს „ა“-ს მიერ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევა არ დგინდება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-3, მე-5, 27-ე, 34-ე და 39-ე მუხლების საფუძველზე,

ინსპექტორმა გადაწყვიტა:

1. დასრულდეს მოქალაქე გ.მ.-ს 2016 წლის 03 მაისს წარმოდგენილ №01/388 განცხადებასთან დაკავშირებული საქმის განხილვა და ეცნობოს განმცხადებელს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;
2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და სს „ა“-ს ეცნობოთ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;
3. გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს მხარეთა მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6) ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

თამარ ქალდანი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი